საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3060/01
20/03/2020

3060-01-2-202003201603

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი N3531, N3537 და N3535 წერილებით წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება ადიგენის მუნიციპალიტეტში, სოფ. არალში მდ. ქვაბლიანის (I, II და III უბნის) ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების პროექტებს და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადებები ეხება, ადიგენის მუნიციპალიტეტში სოფ. არალში მდ. ქვაბლიანის ნაპირსამაგრი (ნაპირდაცვითი) სამუშაოების პროექტებს, თუმცა სკრინინგის N3531 განცხადებაში (გვ. 4) აღნიშნულია, რომ პროექტით დაგეგმილია ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფ. არალში (პირველი უბანი) მდ. გუჯარულას მარცხენა ნაპირის დაცვა გვერდითი ეროზიისგან. ასევე სკრინინგის N3537 განცხადებაში (გვ. 4) აღნიშნულია, რომ პროექტით დაგეგმილია ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფ. არალში, (მეორე უბანი) მდ. გუჯარულას მარცხენა ნაპირის დაცვა გვერდითი ეროზიისგან. ხოლო N3535 სკრინინგის განცხადებაში (გვ. 3) აღნიშნულია, რომ პროექტით დაგეგმილია ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფ. არალში, (მესამე უბანი) მდ. გუჯარულას მარჯვენა ნაპირის დაცვა გვერდითი ეროზიისგან. შესაბამისად დაზუსტებას და გადამუშავებას საჭიროებს სკრინინგის განცხადებებში მოცემული ინფორმაცია.

აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებებში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები:

- სკრინინგის განცხადებებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ნაპირსამაგრი ღონისძიებების განხორციელების ეტაპზე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების შესახებ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკრინინგის განცხადებებში შესაბამისი კვლევების საფუძველზე, უნდა იყოს განხილული ფლორასა და ფაუნაზე, ასევე იქტიოფაუნაზე ზემოქმედების საკითხები.
- სკრინინგის განცხადებებში აგრეთვე მოცემული უნდა იყოს ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.
- სკრინინგის განცხადებებში წარმოდგენილი უნდა იყოს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლთან და საკარმიდამო ნაკვეთებთან დაცილების მანძილები.
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იქნას ერთიანი შრიფტით.

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე